კვირა, 21 აპრილი 1929 წ. ფელიეტონი მეჩვიდმეტე № 17 (201)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფანტასტიკა

ქორწილის ტრაქტორიზაცია

თესვის კამპანიის შემოწმების დროს მუშათა და გლეხთა ინსპექციამ ერთ-ერთ სოფელში აღმოაჩინა ასეთი ფაქტი: სოფლის საბჭოთა და საზოგადო ორგანიზაციების მუშაკები ტრაქტორით გაემგზავრენ ქორწილში.



მაყრები: ქალი მოგვყავს მზიანიო,
აბრეშუმის თმიანიო...

„სასაცილო იქნებოდა, რომ სატირალი არ ყოფილიყო“

ტარტაროზის დღევანდელ წერილის („არა ყველას, —მხოლოდ ჩვენ თანამშრომბებს“) არ იყოს,—არის მოვლენა და შემთხვევა, როცა არც სიცილი შეიძლება და არც ტირილი, ანდა შეიძლება ორივე ერთად.

აი, სწორედ, ასეთ ამბავთან გვაქვს ეხლა საქმე.

ჩვენ არ დავასახელებთ მოქმედების ადგილს და არც პიროვნებებს. ეს იქნებოდა მათთვის სირცხვილის ჭამა და, ასე ვსთქვათ, გამოთაყვანება.

იქვი არავის დაებადოს, თითქოს ესშეთხზულია, ანდა ზღაპარი „ათას ერთ სიცრუიდან“. მთავარი აზრი სინამდვილედან არის აღებული.

და თუ ზღაპრულ კილოზე ვსწერთ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ძნელი დასაჯერებელი ამბავია. გარდა ამისა, არის ისეთი ხალხიც, რომელსაც ზღაპარი უფრო სწამს, ვიდრე სინამდვილე, და, პირიქით.

იყო და არა იყო რა.

იყო ორი ტრაქტორი სხვადასხვა ფირმისა.

ეს ორი ტრაქტორი ეკუთვნოდა ორ მეზობელ სოფელს. ერთად გამოიწერეს და ერთად მიიღეს.

ორივე ტრაქტორი ერთი სოფლის მისამართით მოვიდა.

ამ სოფლის აღმასკომის თავმჯდომარე, სიხარულისაგან შეხტა და ქუდის ჭერში ასროლა დაიპირა, მაგრამ ქუდი თავზე არ აღმოაჩნდა (წინლამით სადღაც დამთვრალიყო და იქ დარჩენოდა).

უქუდოთ გაიქცა სადგურში და მიიღო ორი ტრაქტორი.

— ჩვენ რომელი დავიტოვოთ?—შეეკითხა აღმასკომის თავმჯდომარეს „ტრაქტორის შოფერი“ (ასე ეძახიან სოფლად).

— რომელიც უფრო კარგი და ძლიერია.

— ფირმა ორივე კარგია, მაგრამ საქმე იმაშია, თუ რომელი მათგანი ივარგებს და აჯობებს მეორეს.

— წილი ვყაროთ და რომელიც გვერგოს, ის დავიტოვოთ.—შემოიტანა პრაქტიკული წინადადება აღმასკომის მდივანმა.

— თუ ცუდი შეგვხვდა?—დაეჭვდა „ტრაქტორის შოფერი“.

— არის!—ეს ისე აღტაცებით წამოიძახა აღმასკომის თავმჯდომარემ, რომ, გეგონებოდათ: ქრისტეფორე კოლუმბი არის და ამერიკა აღმოაჩინაო.—თუ გახსოვთ ერთხელ „ტარტაროზში“ (№ 177) მოთავსებული იყო ლევარსი როხროხაძის წერილი, რომელშიაც ავტორი სწერდა:

> „ორი ორთქლმავლის ძლეულობის გამოსარკვევად საჭიროა მათი ერთმანეთზე დაჯახება. რომელიც დაიმსხვრევა, ის კარხი ყოფილა; რომელიც —არა, ის ცუდი“.

ჩვენც ასე მოვიქცეთ.

მოიწონეს აღმასკომის თავმჯდომარის წინადადება.

მოხდა „შეჯიბრი“.

დამარცხდა ერთი ტრაქტორი.

გამარჯვებული ტრაქტორი თავისთვის დაიტოვეს და ბნა მისცეს „მშვენიერ“ ნესტიან სარდაფში, დამარცხებული კი—მეზობელ სოფელს გაუგზავნეს.

მუშაობის დაწყებისას აღმოჩნდა, რომ „გამარჯვებულს“ ერთი ვინტი დაზიანებოდა; ამიტომ მან უარი განაცხადა მუშაობაზე სანამ არ მოარჩენდენ.

„შოფერმა“ საჭიროდ სცნო „ექიმთან“ წაყვანა ვიწტის გასაკეთებლად. (სოფლად ავათმყოფის ექიმთან მიყვანა უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ექიმის მოყვანა ავათმყოფთან).

ტრაქტორს გაუკვირდა ასეთი უყაირათობა, მაგრამ მერე გაიფიქრა:—მე რა მენაღვლება; ერთს გავისეირნებ ჰაერზე. ჩამაგდეს ამ ნესტიან სარდაფში და არავინ ყურადღებას არ მიაქცევს; ყანგი მომეკიდა, წავხდი, გავფუჭდი. და უთხრა თავისს „გადიას“(„შოფერს“:)წამიყვანე ვოსტატთან. ხომ გაგიგონია: „თუ მთა არ მივა მაჰმადთან, მაჰმადი მივა მთასთანო“.

დასვეს მატარებელზე და წაიყვანეს—წაიღეს.

გაუკეთეს „ოპერაცია“ (ანუ ვინტი) და ისევ წამოიყვანეს—წამოიღეს.



ეს გასეირნება დაჯდა 120 მანეთი. (ცნობა ამოღებულია გაზეთიდან).

ამბავი მეორე—უფრო საინტერესო:

იყო და არა იყო რა.

იყო ერთ სოფელში ერთი ტრაქტორი, რომელიც გამოეწერა ადგილობრივ ხელისუფლებას, რადგან გაზეთებში კამპანიები იყო ტრაქტორიზაციის შესახებ.

— რა ოხრობაა ნეტავ ეს რაღაც ტრაქტორია?—ჰკითხა აღმასკომის თავმჯდომარემ გლეხკომის თავმჯდომარეს.

— ალბად რაღაც არის. ჩვენც უნდა გამოვიწეროთ, თორემ უმოქმედობასა და ჩამორჩენილობას დაგვწამებენ. რომ მივიღებთ, შემდეგ დავინახავთ თუ რამეში გამოგვადგება.

მიიღეს ტრაქტორი.

— ეს რა უცნაური რამ არის! არც ავტომობილია და არც ურემი, რომ შეიძლებოდეს ხარ-კამეჩის შიგ შებმა.

საიდღანაც მოიყვანეს „ტრაქტორის შოფერი“.

აგუგუნდა ტრაქტორი.

— სოფლის ავტომობილი ყოფილა!—დაუსვა დიაგნოზი და გაუხარდა აღმასკომის თავმჯდომარეს.

დავითმა (კულაკია) დიდი ქორწილი გადაიხადა. ქალი მიათხოვ კოოპერატივის ნოქარს (გაკრეჭილი მღვდელია).

დაჰპატიჟა სოფლის „დიდი კაცები“.

— აბა, ავტომობილი!—გასცა განკარგულება აღმასკომის თავმჯდომარემ.

რამდენიმე წუთის შემდეგ „კამპანიით“ დატვირთული ტრაქტორი გზას გაუდგა ქორწილისაკენ.

ამბობენ—ეკლესიაზე ნეფე-პატარძალი ჯვარის დასაწერად ტრაქტორით წაიყვანესო.

Ი—Ი.

ლტოლვა ზეცისაკენ

დიდედა:—ეე, შვილო, რა სანატრელი დრო იყო წინედ—მორწმუნე ხალხი ზეცაში ამყავდათ!

— მაგალითად, ვინ აიყვანეს დიდედო, ზეცაში?

— ვინა და იესო ქრისტე, შვილო. შენ რა გემაწყინარება.

— ეს არაფერი გასაკვირველია, დიდედო. აი შე ურწმუნო ვარ, მაგრამ ამას წინედ ჩემმა ამხანაგმა მფრინავმა მეც ამიყვანა ზეცაში.

მეფისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს თანამშრომლებს

ალბად ბევრს ჰგონია, რომ ჩვენ არ შეგვიძლია და არ გვეხერხება სერიოზული ლაპარაკი.

ამის შემდეგ, მოდით და ნუ შეგვათ ეჭვი თავისთავის სერიოზულობაში!

ამიტომ ჩვენ ამ წერილს ვსწერთ სრულიად „ნორმალურად", ე. ი. არატარტაროზულად.

—:—

ამხანაგებო!

რედაქციას მიზნად აქვს დასახული ჟურნალის შინაარსის გაუმჯობესება.

ამიტომ ის (რედაქცია) თანდათნობით თვითეულ ნომერში შეეცდება შეიტანოს რაიმე სიახლე, რაც ხელს შეუწყობს ჟურნალის შინაარსის გაცხოველებას და მისი კითხვის ინტერესის გამოწვევას.

ამ მიზნის მისაღწევად რედაქცია დაახლოებით ასეთი ღონისძიებების გატარებას ფიქრობს:

პროვინციის მასალები, როგორც გამოგზავნილი წერილები, ისე კარიკატურები (ანდა თემები სურათები სათვის), უნდა თავსდებოდეს უფრო მეტი, ვიდრე ეს ეხლა არის.

ამიტომ მასალები უნდა იწერებოდეს **ძალიან მოკლედ.** უბრალო ამბავზე, რომელიც „დეპეშის" სახით შეიძლება აღინიშნოს, არ არის საჭირო იწერებოდეს ვეებერთელა ლექსი (ოპერეტესად მესტვირულის სახით), როგორც ეს ამჟამად ხდება. ასეთი მასალები ჟურნალს ამძიმებს და ხდის ერთფეროვნად.

ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სურათების თემებს, კარიკატურებს (თუგინდ უბრალოდ შესრულებულთ), რომლებიც უნდა აღნიშნავდენ, როგორც ადგილობრივ, ისე საზოგადოებრივ ცხოვრების უარყოფით მოვლენებს.

ადგილობრივ კედლის-გაზეთების ახალგაზრდა მხატვრებს ამ საქმეში ჩვენთვის დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ, თუ კი, რასაკვირველია, მოინდომებენ და საქმეს ხალისით მოჰკიდებენ ხელს.

მხატვრულად კარგად შესრულებული სურათი დაიბეჭდება შეუსწორებლად ავტორის აღნიშვნით.

თანამშრომელთა და მკითხველთა ჟურნალთან დაახლოების მიზნით გამოცხადებული იქნება სხვადასხვა კონკურსები.

ყველა მუდმივ თანამშრომლებს, როგორც წერილების, ისე სურათებისა და კარიკატურებისათვის თემების მომწოდებლებს მიეცემათ გონორარი.

—:—

დასასრულ კიდევ ვიმეორებ: მთავარი არის მასალების მოკლედ წერა...

გახსოვდეთ კიდ ევ: ჩვენ ძალიან გვეჯავრება. ლექსი. ტარტაროზი.

პირველ მოქმედების დროს
ქანდარა და ბალკონი სავსეა, — პარტერი ცარიელია.



მეორე მოქმედების დროს
ქანდარა და ბალკონი ცარიელია, — პარტერი სავსეა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ფაქტი“

ჩემბერლენი:—ვის შეუძლია გვისაყვედურობს,—თითქოს ჩვენ ცხოვრებაში არ ვატარებთ განიარაღებას? მაშ ეს რა არის?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

„განიარაღება“

ლონდონ პალატაში:

— ყოვლად შეუძლებელია,—განაცხადა ბ-ნმა სამხედრო საქმეთა მინისტრმა,—რომ ჩვენ წელსაც იმდენი დავხარჯოთ შეიარაღებაზე, რამდენიც შარშან. ხომ ხედავთ, რა გაფაფიცებით ემზადებიან ჩვენი მტრები ომისათვის! ინგლისი ვერ მოითმენს, რომ მას სხვა ვინმემ გაუსწროს სამხედრო ძლიერებაში.

— მართალს ბრძანებთ, ბატონო მინისტრო, მეც მაგისი თქმა მინდოდა მუშათა პარტიის სახელით,—ჩამოართვა სიტყვა ტომასმა, მუშათა პარტიის ხელმძღვანელმა და მაკდონალდის მარჯვენა ხელმა,—მართალია, ჩვენ, სოციალისტებს არ გვიყვარს ომში წასვლა, მაგრამ სხვები თუ წავლენ, რა გვენაღლება! სწორედ შეიარაღება სჯობია განიარაღებას.

პალატამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია სამხედრო ბიუჯეტის გადიდების შესახებ.

საფრანგეთის პარლამენტში:

— ჩვენ ერთი წუთითაც ვერ შევაჩერებთ ჩვენი სამხედრო ძლიერების ზრდის ტემპს, რადგანაც ჩვენი კოპწია და ქალწულებრივი საფრანგეთი არ არის უზრუნველყოფილი მტერთა თავდასხმისგან, ვერავის დავანებებთ მშვიერი ლა ფრანსის გაუპატიურებას! ამიტომ საჭიროა სამხედრო ბიუჯეტის გადიდება.

— დამასწრო ბატონმა სამხედრო მინისტრმა; სწორედ ეგ სიტყვები მადგა მეც პირზე,—აღტაცებით წამოიძახა მსოფლიო მაშტაბის სოციალ-გამყიდველმა (რუსულად პერეკუპშჩიკმა) რენოდელმა,—რასაკვირველია, ჩვენ, სოციალისტები ვიბრძვით ომის წინააღმდეგ, მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვით, გარწმუნებთ... საქმით კი, ხომ იცით რა საქმის ხალხი ვართ ჩვენ, როცა საქმე საქმეზე მიდგება! ჩვენ ვამბობთ: ძირს სისხლისღვრა, გაუმარჯოს პატიოსან ომს! მართლაც და, თანამედროვე გაზების ომში რა სისხლი უნდა დაიღვაროს?

პარლამენტმა ერთსულოვნად მიიღო სამხედრო ბიუჯეტის გადიდების საკითხი.

თეთრ სასახლეში (ამერიკა).

— შეიარაღებას შეიარაღება უნდა დაუპირისპიროთ,—წარმოსთქვა ლიპიანმა სამხედრო მინისტრმა.—ჯიბეგამოფხეკილი ევროპა თუ კი ტყავს იძრობს და ახალ კრეისერებს, ზარბაზნებს და ჰაეროპლანებს აკეთებს, ჩვენ რა ვართ, ფული არ გვაქვს თუ ქონება?

ფაშისტურ რომში:

დიქტატორის რეზიდენცია ცალიერია. 9 პორტფელიან დიქტატორს რა ხვეული მოწვევა ეკაბინეტება? თითონ არის გარეშე (და შინაგან საქმეთა მინისტრი, სამხედრო და საზღვაო და სხვათა და სხვათა სამინისტროთა ხელისუფალი.

გამგის ოინი

ზოგ დაწესებულებებში საჩივრის ყუთები მიუწვდომელ ადგილას ჰკიდია.



დამლაგებელი: — რას ათვალიერებთ? ვერა ხედავთ საჩივრის ყუთია!?

მოქალაქე: — წერილი მაქვს ჩასაგდები, და თვალით ვზომავ რა სიგრძის კიბე მოვიტანო!

— სამხედრო ბიუჯეტი გადიდდეს!—ბრძანებს დიქტატორი.

— იდიდოს სახელი მუსოლინისი!—უდასტურებს პაპა.

— აძინ! იყოს იგი დღეგრძელი,—უპასუხებენ ფაშისტები.

— აძინ! იყოს იგი დღემოკლე და წყეული—გაისმის ქარხნებიდან.

— დიქტატორი ერთპიროვანი და ექსპორტფელოვანი ერთხმად ადიდებს სამხედრო ბიუჯეტს.

ჟენევაში:

— გაუმარჯოს მშვიდობიანობას, მაგრამ...—ალარ ამთავრებს ინგლისელი.

— გახშტკიცდეს სათნოება კაცთა შორის, ოლონდ...—უპასუხებს ფრანგი.

—იყოს კურთხევა ქვეყანაზა ზედა, მხოლოდ...—ბუტბუტებს ამერიკელი.

— იდიდოს ზავი, თუმცა...—გაიძახის იტალიელი.

— სესია იხურება. შეიარაღება გრძელდება.

ისევ ჟენევაში:

— ჩვენ მომხრე ვართ განიარაღების მხოლოდ....

— არც ჩვენ ვართ წინააღმდეგი, მაგრამ...

— მშვიდობიანობას ჩვენც ვიცავთ, ოლონდ...

— თქვენთან ვართ ჩვენც, თუ კი...

— სესიის მუშაობა თავდება.

შეიარაღება ძლიერდება.

კვლავ ჟენევაში:

ინგლისი:—ჩვენ მოვითხოვთ ამერიკის განიარაღებას!

ამერიკა:—სასურველია ინგლისის განიარაღება!

საფრანგეთი:—კარგი იქნება, თუ ინგლისს და იტალიას განვიარაღებთ!

იტალია:—ყველას ემჯობინება, თუ სამივე აიყოთ იარაღს!

სესია იხურება.

იარაღი კიდევ უფრო ჩხარუნობს.

მაინც ჟენევაში:

ლიტვინოვი:—ჩვენც აქა ვართ!

ყველანი: დიდათ სასიამოვნოა. არაღი აიყარეთ?

ლიტვინოვი: ჯერ არა, მაგრამ თუ თქვენც მომხრე ხართ, ყველა ერთად განვიარაღდეთ. მოვახდინოთ საერთო განიარაღება!

ინგლისი: როგორ იკადრებთ, ქვეყანა როგორ განიარაღდება! ისევ თქვენ გვიჩვენეთ მაგალითი და მერე ვნახოთ...

ლიტვინოვი:—არა, მასე არ გვაძლევს ხელს, განვიარაღდეთ ყველა!

საფრანგეთი:—არა გენაცვა, ბულონის ტყე მხეცებით არის სავსე.

არაღოთ არ შემიძლია.

ინგლისი:—მოდი გადავდოთ ეგ საკითხი!

სესია იხურება.

სამხედრო ბიუჯეტები იზრდება ევროპიტალის ქვეყნებში.

მაინც ჟენევაში:

ალლარ-ალლარსან.

ამას წინად სტადიონზე ფეხბურთელებს ჯიბრი ჰქონდათ,
და ფუტბოლიც გაშმაგებით გაჰქონდათ და გამოჰქონდათ.
გაიტაცა ნიკომ ბურთი, გოლს გავიტან, ჰა, თუ არა,
მაგრამ ისე მაგრად დაჰკრა, ბურთმა „ზაბორს“ გადუარა.
ეს შენიშნა ავეტისამ (იქვე ტაჭკით მწვანილს ჰყიდდა)
მიატოვა მსწრაფლ ვირ-ტაჭი და „ფუტბოლს“ გამოეკიდა.
ამის მნახველ კირაკოზამ (ხის ჰქონდა მარჯვენა ფეხი),
ჯიბრზე ბურთის წასართმევათ გამოეენთო კისერ ტეხით.
თვალი მოჰკრა არმიელმა (პატიმარი რომ მიყავდა),
მიატოვა მანაც იგი და ბურთისკენ გამოქანდა.
აქ მოხუცი მეეზოვე სარწყავ მილით რწყავდა ქუჩას:
ბიჭოს ერთი მეც რომ გავკრა რა მოხდება, ან რა უშავს?
სდგას „პოსტზე“ მილიციელი, ატრიალებს სემაფორსა,
პასი ჩემსკენ, აფხანაკო. მე შეუგდებ მაგათ გოლსა!
ვატმანმა რა აგი ნახა, აუტოკდა მასაც გული,
მიატოვა ტრამვაი და აედევნა ბურთს ძუნძულით.
გზათ მამაო მოდიოდა, დაძმარულ-დაღვრემილი,
ბურთმა თვალწინ გაურბინა, მოერია მას ღიმილი.
(გულში მასაც, რა თქმა უნდა, ფიზკულტურის ცეცხლი ენთო),
აიკრიფა ანაფორა და მანაც ბურთს გამოეენთო.
აირია მონასტერი და ზღვასავით მოდის ხალხი,
და ჩვენს „ფეხმარდ ფეხბურთელებს“ სიმწარისაგან ასდით ალი.
აგერ მკვდარს მიასვენებენ, გლოვის ზარი სწვდება ცაზე.
არც აცხელებს, არც აცივებს კუპო დასდეს იქ მიწაზე.
მკვდარი ფიქრობს: „როგორც ვხედავ, მე ვარ სამუდამოდ მკვდარი;
მოდი ერთი „პასლედნი რაზ“ მეც დავკრა ერთი „უდარი“.
და წამოდგა; სირცხვილი თქვენ მკვდარმა გავიტანო გოლი
დაჰკრა სამჯერ, სამივ მძლავრი და დასძახა „ᲕᲜᲐ Ი-ᲚᲘ“.

ᲓᲝᲜ-ᲙᲘᲮᲝᲢᲘ.

„ᲕᲠᲘᲡᲢᲐᲛᲘ“

დღეს-ხვალ ორი ჩისტკა დაიწყება. პარტია თავის რიგებს სჩისტამს, სახელმწიფო—თავის აპარატს. ერთშიაც და მეორეშიც ყოველ ჩვენ მშრომელ მოქალაქეს სრული უფლება აქვს მიიღოს მონაწილეობა. მეც არ მინდა სხვებს ჩამოვრჩე და წინასწარ ვიწყებ მუშაობას.

პირველი „მხურვალე სალამი“ ჩვენ ბიუროკრატებს. ვინ არის ბიუროკრატი? ბიუროკრატი ის არის, ვინც რომ თავის ცხვირსაქით ვერაფერს ვერა ხედავს, რომელსაც გონია, რომ ის ყველაზე ჭკვიანია და მისი აზრი უნდა გახდეს სხვებისათვის ნამდვილი დეკრეტი. „უბრალო ხალხი“ მისთვის ფარა ცხვარია. სხვისი აზრი მისთვის სრული ტუტუცობაა, ის ყველას უყვირის, უბრძანებს და თითონ კი სხვებისაგან ვერაფერს ვერ იგნებს. ყველგან თავი ისე მოაქვს, როგორც ძველ ღუბერნატორს. ამნაირებს, როგორც პარტიულებს, ისე უპარტიოებს, ჩავყრით ისტორიის ნაგვის ყუთში.

არც „ვოლოკიტჩიკები“ არიან დასაზოგანი. ამათ ვერ შეუგნიათ მუშურ-გლეხური უბრალო ენა. ვერც თითონ შეუსწავლიათ ადამიანისათვის გასაგები ლაპარაკი. ამათ უყვართ ძველი ქაღალდის შმორიანი სუნი და ყოველ მთხოვნელის ქაღალდს ალპობენ თექვსმეტ ინსტანციის გავლის პროცესში. პირადი ლაპარაკი ხალხთან არ უყვართ—უბრალო საგანზეც კი მოითხოვენ „ოფიციალურ ატნაშენიეს“. ამნაირი ჩინოვნიკები თუმცა ექვს-ექვს საათს ზიან მაღალ ზურგიან „კრესლოებში“, მაგრამ ისინი თავით არაფერს არ აკეთებენ, მოდი ესენიც გადუძახოთ სანაგვეში.

ალავერდი ყოყოჩებს. ზოგიერთს საპასუხისმგებლო ადგილი „გრომოოტვოდი“ გონია, დირექტორს, ზავის ანუ იმის ზამის თანამდებობა ყოყოჩას ნეფის ტახტათ ეჩვენება. ამნაირი კაცუნა ზოგს ცხვირის ტეხვით ემუქრება, ზოგს სამსახურიდან დათხოვით და გულმაგრებს კი ციხეს პირდება. ვინ აქვს ნება მიუთითოს მას ყოველგვარ შეცდომებზე. ის ყოველთვის და ყველაფერში სწორი და მართალია. ესეც ჩავასვენოთ „სორნი იაშიკში“.

პარტიულებშიც არიან ამგვარი ტიპები, რომლებსაც პარტიული ბილეთი ბატონ-ყმობის ხანაში აყენებს. ის ყველას უბრძანებს, ეჩხუბება, ლანძღავს, ასე ჰგონია ყველა უფლებაპატივსაცემდეს. არავის არა აქვს უფლება მის წინააღმდეგ სიტყვა თქვას. ის არ მუშაობს, რადგანაც სხვები არიან მოვალენი იმის საქმის შესრულების, ყოყოჩა კომუნისტს ერთი ხელი რევოლვერზე უკიდია, მეორე კი მუშტი-კრავისთვის აქვს მომზადებული. მოდი ორივე ხელები გაუბაწროთ და ჩავუშვათ ეს „ახალი მაღალწოდების ორფეხა“ იმავე ყუთში.

სხვა ჯურის მავნებელი „კომუნისტებიც“ დარჩომილი არიან პარტიაში. ესენი დილიდანვე დაწრწიან ერთი ადგილიდან მეორეში, პოლიტიკანობენ, ახალ ინტრიგებს აწყობენ, ყველა საკითხზე თავიანთ „ორიგინალურ“ აზრს აცნობენ ამხანაგებს და „სფეროებშიც“ თავი მოაქვთ, როგორც პრინციპების მოყვარე მოღვაწეებს. ჩაბარებულ საქმეს კი უპატრონოთ სტოვებენ „სპეცების“ განკარგულებაში. ესენი, რომლებიც ორშაურის საქმეს აკეთებენ და ათიათასებისას ახდენენ, უნდა იყვნენ შორს პარტიიდან და კიდევ უფრო შორს სახელმწიფო აპარატიდან.

ეხლა მოვკიდოთ ხელი ყოფილ მეპატრონეებს და თავად – აზნაურებს სახელმწიფო აპარატში. ამათში ათასში ერთი თუ შეიძლება გამოყენებული იქნეს ჩვენ აღმშენებლობის საქმეში. დანარჩენები კი ცეცხლით და მახვილით უნდა განიდევნონ საბჭოთა დაწესებულებიდან.

ნუ გეშინიათ, არც „რასტრატჩიკები“ დაგვავიწყდა. ამათ ჩვენ კარგათ ვიცნობთ. ესენი ყველა ერთნაირები არ არიან. ზოგიერთი ამათგან ფულს სალაროდან ისე უცბად იტაცებს, როგორც მშიერი ძაღლი ყასაფხანიდან ძროხის ჯიგარს. ესენი მალე ვარდებიან ხაფანგში და წლობით ინელებენ შეჭმულ ფულს „მეტეხის დასასვენებელ სახლში“. მეორე „პაროდა რასტრატჩიკებისა“ უფრო რთული სისტემით მუშაობს. ის წლობით ცარცვამს ხალხის ქონებას და ყოველგვარ მახინაციებით ახერხებს წყლიდან მშრალათ გამოსვლას. ამნაირი გამფლანგველები კიდევ ბლომათ თარეშობენ ჩვენ დაწესებულებებში. ვერც რევიზორებმა, ვერც სტენკორებმა და რაბკორებმა ვერ გაანადგურა ეს ცხოველები. აპარატის გაწმენდის დროს ეს ელემენტები მოითხოვენ ჩვენ დიდ ყურადღებას—არც ერთი მათგანი არ უნდა დარჩეს ჩვენს დაწესებულებაში.

დასასრულ ვთხოვ ჩვენ კალმიან ლაშქარს, როგორც პეხოტას, ისე ლიოგკი კავალერიას და ტიაჟოლი არტილერიას გააორკეცოს მუშაობა ჩვენ პარტიულ რიგების და სახელმწიფო აპარატის გასაკანსაღებელ მუშაობაში.

ᲕᲘᲜᲔᲛᲔ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაფუტოზის ლექსიკონი

ᲐᲑᲐᲓᲜᲐ—სიკვდილის ანგელოსი (იხ. ჩემბერლენი).

ᲐᲑᲘᲣᲠᲐᲪᲘᲐ—რწმენის საჯაროდ უარყოფა, ანუ სოც.-დემოკრატების (მენშევიკების) საქციელი და მოღვაწეობა, რომელიც გრძელდება მსოფლიო ომის დაწყებიდან დღემდე.

ᲐᲒᲚᲔᲡᲘᲐ—ენის უქონლობა, სიმუნჯე. ემართებათ ზოგ მოხელეებს, როცა მათ მიმართავენ თხოვნით. ბიუროკრატიზმის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისება.

ᲐᲒᲒᲘᲝᲡᲘᲡ ᲑᲝᲡᲔᲚᲘ — უსუფთაო, ნაგვიანი ადგილი, ე. ი. 1), ზოგი ჩვენი დაწესებულება (მაგ. ტრესტები), სადაც მოკალათებული არიან ანტისაბჭოთა ელემენტები. 2), სანიტ-კომისიის მუშაობის დახასიათება. 2) ზოგიერთ ჩვენი ქუჩებისა და ეზოების მდგომარეობა.

ᲐᲙᲔᲤᲐᲚᲘᲐ—უთავო, ანუ ზოგიერთი გამგე, უფროსი.

ᲐᲙᲠᲘᲖᲘᲐ—მოუფიქრებლობა, მოუსაზრებლობა, რაც დღეს ჩვეულებად გადაიქცა წარმოებათა ზოგიერთ ხელმძღვანელთათვის. სამუშაო გეგმისა და წარმოდგენილ პროექტის „ავანსათ“ დამტკიცება.

ᲐᲙᲠᲝᲛᲔᲚᲐᲒᲘᲐ—სხეულის რომელიმე ნაწილის მეტისმეტად ზრდა; მაგ., მომხსენებელს ეზრდება ენ>;



გამგეებს—ცხვირი (მაღლა აწევით) და ხელი (პორტფელის ტარებით); გამფლანგველს—კუჭი (ბევრი ჭამით); მოწაფეებს—ყური (ზოგიერთი მასწავლებელი დღესაც უწევს ყურს მოწაფეებს).

ᲐᲚᲐᲑᲐᲜᲓᲘᲖᲛᲘ — გემოვნების უქონლობა ხელოვნების დარგში, ანუ ზოგიერთი ჩვენი რეცენზენტი.

ᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲪᲘᲐ—ერთ სტრიქონში ერთნაირ ასოების მრავალჯერ განმეორება, ანუ ისეთი დაწესებულება, სადაც მსახურობენ ნათესავები.

ᲐᲚᲙᲝᲰᲝᲚᲘ—ყოველგვარი ბოროტებისა და უბედურების სათავე.

ᲐᲚᲝᲒᲠᲐᲤᲘ—ყალბი ხელთნაწერი. გამოიგონა განსვენებულმა კერზონმა. მის შემდეგ კარგად შეისწავლა ეს ხელობა ჩემბერლენმა, რომელმაც ასწავლა სხვა ბურჟუაზიულ სახელმწიფოების მესვეურთ.

ᲐᲛᲜᲔᲖᲘᲐ—გულმავიწყობა; ემარ-

ᲐᲛᲜᲔᲖᲘᲐ—გულმავიწყობა; ემარ-

თება ყველას ვალისა და კრედიტის აღების შემდეგ.

ᲐᲜᲔᲙᲓᲝᲢᲘ—ერთა ლიგის სამშვიდობო კონფერენციების რეზოლიუციები.

ᲐᲛᲞᲣᲢᲐᲪᲘᲐ—სხეულის დასნეულებული ნაწილის მოკვეთა, რაც უმეტეს შემთხვევაში შეუძლებელი ხდება, რადგან სხეულის ასეთ (დასნეულებულ) ნაწილად არის თავი. (თავის მოკვეთა კი ჯანმრთელობისათვის მეტად მავნებელია).

ᲐᲠᲐᲜᲐᲣᲨᲘ—მამული, რომლის შემოსავალი დანიშნულია მუქთახორებისათვის, ე. ი. ზოგიერთი ჩვენი წარმოებათა დარგი.

ᲐᲡᲚᲝᲓᲘᲡᲛᲔᲜᲢᲘ—მოხსენების გათავებით გამოწვეულ სიხარულისაგან ტაშის დაკვრა.

ᲐᲠᲐ—ყველაზე უფრო გახშირებული პასუხი, ანუ იმედისა და თხოვნის შედეგი.

ᲐᲠᲒᲣᲡᲘ—ასთვალა, ფხიზელი მეთვალყურე, ანუ მსუბუქი კავალერია, მუშკორი და ყოველგვარი კორი.

ᲐᲠᲘᲔᲠᲒᲐᲓᲘ—ზურგის დამცველი, ანუ (ჩვენებურად) უჩინარი „დიდი კაცი“, პროტექტორი.

ᲐᲢᲢᲚᲖᲘ—თითების კანკალი, რაც ადამიანს ხშირად ემართება ჯამაგირის უწყებაზე ხელისმოწერის დროს, როცა არაფერი რჩება—(უქვითავენ დავალიანების დასაფარავად).

ᲐᲥᲡᲘᲛᲐᲢᲘᲐᲡᲘᲐ —მხედველობის ნაკლი, ფერების განურჩევლობა. ამ სენით ბევრი არის დაავადებული. მაგ. წითელი და თეთრი ფერი ზოგთათვის სულერთია, ოღონდ კი ჰქონდეთ „კეთილი ცხოვრება“

ᲐᲣᲓᲘᲤᲚᲘᲜᲘ—1), სასმენი ხელსაწყო ყრუთათვის. საჭიროა ზოგიერთ სამეურნეო მუშაკებისათვის, რომლებსაც მუშათა მითითებანი ეჯავრე-

ბა. 2), ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც ინგლისის მშრომელი ხალხი და მრეწველები ცდილობენ გააგებინონ ბოლდუინის მთავრობას, რომ აუცილებელია საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის აღდგენა.

Ბ

ᲑᲐᲜᲓᲘᲢᲘ—მუსოლინის ნაცვალსახელი.

ᲑᲔᲓᲚᲐᲛᲘ—ლონდონის საგიჟე, რომლის დაარსებიდან გავიდა შვიდი საუკუნე. დღეს ეს სახლი ცარიელია, რადგან შიგ მოსათავსებელი ხალხი ყვლა ინგლისის მთავრობის წევრია.

ᲑᲘᲐᲜᲓᲠᲘᲐ—ორქმარიანობა; ჩვეულებრივი მოვლენა დღევანდელ ხანაში.

ᲑᲘᲑᲐᲛᲘᲐ—ორცოლიანობა: დღეს იშვიათი მოვლენა, რადგან ორის მაგიერ შემოღებულია მრავალცოლიანობა.

ᲑᲘᲣᲠᲝᲙᲠᲐᲢᲘᲖᲛᲘ —ზღაპრული მრავალთავა გველეშაპი, რომელსაც ერთი მოკვეთილი თავის მაგიერ ამოსდის მრავალი.

ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ—ფიქტიური ნორმა; ქაღალდზე დაწერილი ციფრი, რომელიც სინამდვილეში არ არსებობს; აქედან—ზღაპარი.

აფთარი.

„კუდები“

მართალია, ადამიანის ანატომია კმა ყოფილდება მხოლოთ „კუდუსუნის“ ძვლითა და ამ უკანასკნელის „შესამოსელით“, მაგრამ ეგრედწოდებული ზოოლოგია კი ფეხსაც ვერ გადასდგამს წინ ისე, რომ კუდი არ მოიხსენიოს, როგორც ამა თუ იმ საპატიო ცხოველის საპატიო ნაწილი.

ამ რიგათ, მეცნიერებას კუდი მეტად არ აინტერესებს და, ჩვენი დღევანდელი წერილი რომ მეცნიერული ხასიათისა ყოფილიყო, ჩვენც ამითი შეგვეძლო დაკმაყოფილება.

მაგრამ, გარდა მეცნიერულისა, საზოგადოებრივ ცხოვრებას ახასიათებს კიდევ სხვა დარგებიც.

წარსულში, მაგალითად, სხვა და სხვა ცრუმორწმუნეობას, არა ნაკლებ საპატიო ადგილი ეჭირა, ვიდრე შემდეგ—სარწმუნოებას, ხოლო დღეს მეცნიერებას უკავია.

და აი, კუდის საკითხიც მაშინ სულ სხვა ნაირად იდგა. მას თითქმის ისევე აღიარებდენ ზოგი ადამიანის ნაწილად, როგორც დღეს მეცნიერება ასეთად მას თითქმის უარყოფს.

„კუდიანები“—ეს ისეთი ადამიანები იყვენ, ძველი შეხედულებით, რომელთაც რაღაც არაბუნებრივი ძალა ჰქონდათ: შეეძლოთ ფრენა ჰაერში, როგორც დღეს იქ ფრენოსნები დათარეშობენ, ხოლმე, და არც წყალში იძირებოდენ, როგორც დღეს რომელი მე ორთქლმავალი გემი და ისიც ნაწილობრივ ანუ უკეთ—დროებით, სანამ რომელიმე უფრო ძლიერი გარეშე საგანი არ დაეჯახება ასეთ გემს ან გემი არ დაეჯახება ასეთ საგანს და არ განიცდის ეგრედ წოდებულ „ავარიას“.

ასეთი მაგარი საგნის თუ საგანზე დაჯახების მაგიერობას უწინდელს დროში ეწეოდა ეგრედ წოდებული „დადაღვა“. კუდიანების „დადაღვა“ იმ დროში ხდებოდა საჯაროთ და მასიურად. დასადაღავ „კუდიანებს“ ჯერ ჩაჰყრიდენ მდინარის მორევში. თუ ისინი წყალში არ იძირებოდენ, ამოიყვანდენ და გახურებული შანთებით დადაღავდენ, რის შემდეგ „კუდიანები“ რაღაც მანქანებით წყალში უკვე ტყვიასავით იძირებოდენ თურმე.

არ ვიცი, რა კანონს ემორჩილებოდა ასეთი მოვლენა. შეიძლება იგი ისევ და მხოლოთ ცრუმორწმუნეობაა იყო დამყარებული იმ ბნელსა და ცრუმორწმუნეობაზე აგებულ დროში, და, რაკი ის ძველი დრო მისი ცრუმორწმუნეობაც დავიწყების ჯურღმულს ჩაბარდა, ის ძველი „კანონიც“ თან ჩაიყოლია.

მაგრამ ხალხი კუდის საკითხს ასე ადვილათ როდი გაჰყრია. თუ მას ზოგ შემთხვევაში ზედმეტი კუდი აინტერესებს ამა თუ იმ სხეულზე, ზოგჯერ მისი ყურადღება ჩერდება კუდ-ნაკლებობაზე ან კუდის სრულიად უქონლობაზეც.

მაგალითისათვის ავიღოთ ანდაზა: „კუდა ხარი სხვებს ბუზებს უგერდა“-ო.

აქ როდორც ხერავთ, ხალხი ირონიულად უცქერის იმ მოვლენას, როცა ხარს კუდი არ აქვს, ხოლო ბუზების მოგერიების საპატიოს სურვილს კი უადრესად განიცდის. იგი ამ შემთხვევაში პატეტიურის სიამაყით ექლესება სხვა ხარებ შორის: „იქ ნება ვისიმე კუდი უნებლიეთ მაინც მომხვდეს და ბუზები გამიფრთხოსო“.

ასეთი ხარი რომ უცბათ შეაყენოთ და შეეკითხოთ: „კუდავ, რას დაეხეტებიო“,—იგი თქვენ შუბლზე წარბშეუხრელად, უფრო, ვიდრე აშას ეგრედ წოდებული ინგლისელი შუბლმაგრები ჩაიდენენ ხოლმე, ამაყად და თავმომწონედ მოგიგებთ: „ვერა ხედავთ, სხვებს ბუზებს ვუგერებო“.

ამ შემთხვევაში, როგორც ხედავთ ხალხის ყურადღებას იპყრობს ის მოვლენა, როცა ამა თუ იმ საგანს ანუ სხეულს აკლია კუდი. სულ ერთია, რა მიზეზითაც არ უნდა იყვეს ამ შემთხვევაში გამოწვეული ეს დანაკლისი და რომელ სხეულზეც არ უნდა იყვეს ეს. ხოლო თუ აქ ხარია მაგალითად მოყვანილი, ეს იმიტომ, რომ ცხოველთა შორის ბუზების მოსაგერებლად თითქმის არავინ არა ნმარობს კუდს ისე მოხდენილად, როგორც ხარი, რაღა თქმა უნდა, თუ ის, სამწუხაროდ, უკუდო არ არის ანუ, უფრო ლიტერატურულად რომ ვსთქვათ,—არ არის კუდა.

ჩვენ უკვე მოვიყვანეთ ორი მაგალითი: ერთი მათგანი შეეხება კუდის ზედმეტობას, ხოლო მეორე კუდ-ნაკლებობას.

მაგრამ შესაძლებელი არის კუდი გრძელიც იყვეს, ღვანღვალაც, ხოლო პატივი და გავლენა კი მას დიდათ აკლდეს.

მაგალითისთვის ავიღოთ ანდაზა: „მელას თავისი კუდი მოწმეე მოჰყავდაო“. აქ, როგორც უკვე ყველამ იცის, კუდის სიგრძე, თუ მისი სისქე, რომელიც ემყარება ამ უკანასკნელის სიღვანღვალე—სიფაფუკეს, თითქმის სრულს დამცირებამდის არის გაბითურებული. ან კი სად გინდათ დღეს გამოიყენოთ ისეთი მოწმე, როგორიც არის მელას კუდი. საბჭოთა სასამართლო ამ მხრივ იმდენად გაგულგრილებული და ურწმუნოა, რომ არა თუ მელას კუდს, მის ქუდსაც კი აღარ სცემს პატივს, როცა მას საქმის ინტერესი მოითხოვს. რაც შეეხება ბურჟუაზიულ სახელმწიფოებს, იქ არა ერთი მაგალითით შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ, მაგალითად, რევოლიუციონერთა გასამართლების დროს სრულიად—აღარავის მოწმობას არ აქცევენ ყურადღებას, გარდა იმ პოლიციელთა, რომლებიც თვითონ არ ბევდენ და შემდეგ ატყვევებდენ ამ „სამართალში“ მიცემულებს.

ასე სდგას საერთოდ კუდების საკითხი როგორც მეცნიერების, ისე საზოგადოებრივი ცხოვრების თუ სამართლის კოდექსის მიხედვით.

მაგრამ როგორ-ღა სდგას კუდების საკითხი მიმდინარე მომენტის თვალთა ხედავთ?

ამ მხრივ, მე უნდა გამოგიტყდეთ, რომ არც ამდენი ნამეტანი უკუდობა ვარგა, როგორც ეს ამ უკანასკნელ დროს თითქმის სტაბილიურად დამყარდა ქალაქის ქუჩებში. მე აშკარად უნდა ვაღიარო, თუ „ჩვეულება რჯულის უმტკიცესია“, ჩემში უკვე აგერეულ წელიწადზე მეტია, რაც რჯულსა და, თუ გნებავთ, ურჯულოებაზეც მეტად დამყარდა ქუჩებში ეგრედ წოდებული „კუდების“ ჭვრეტის მოთხოვნილება. მართალია, თვითონ გავურბი იქ დგომას, მაგრამ დანახვით კი პირდაპირ მხიბლავს მე ეს მოვლენა და ჩემი მოხიბლვაც ამ შემთხვევაში იმდენად ღრმა და ძლიერია, რამდენადაც უფრო გრძლად არის გაჭიმული ასეთი „კუდი“ რომელიმე უკუდო ფურნის გინდ თორნის წინაშე.

და არა მარტო ჩემი, მთელი თანამედროვე საზოგადოების თითქმის უპირველეს მოთხოვნილებათ გადაიქცა ასეთი „კუდების“ არსებობა. იგი, ასე ვსთქვათ, ერთგვარ ფუფუნების საგნად არის მიჩნეული და მიღებული.

გადაჭარბებულად არვინ ჩასთვალოს ეს ჩემი განცხადება, თორემ ავდგები და დაგიმტკიცებთ, რომ მე არა ვსტყუი.

მაგალითად: სანამ პურის ბარათებს შემოიღებდენ და პურის სყიდვითი უფლებას მკაცრად არ განსაზღვრავდენ, ყოველი ფურნისა თუ თორნის წინაშე თითქმის შუაღამიდან და ზოგჯერ უფრო ადრეც, ვიდრე მეორე შუაღამემდე, თქვენ ხედავიდთ გაჭიმულ „კუდებს“, ზოგჯერ ორ, სამ თუ ოთხ კეცადაც მოკეცილსა და თითქმის უძრავად დებულს ქუჩაში.

ეს მოასწავებდა იმას, რომ პური „ოხრად“ იყო, ყოველ მოქალაქეს და, თუ გნებავთ, მესოფლესაც შეეძლო მისი ყიდვა იმდენის, რამდენიც მაა სურდა. და თანაც ჰქონდა შესაფერი ხურდა და აი, იდგენ ფურნეებისა თუ თორნეების წინაშე და ყიდულობდენ პურს, რუსები რომ იტყვიან: „ოტ ნეჩევო დიელატ“-ო, ესე იგი, ქართულად რომ გამოვსთქვათ, პურს ყიდულობდენ „ფუფუნებისათვის“, რომელიც ყოველთვის შედეგი არის ხოლმე ერთგვარი სიუხვის, მოხმარების სრული შეუზღუდველობისა და გადაჭარბების.

ჰო და სრულიად საკმაო იყო აქ შეუზღუდველობის მცირედ მაინც შეზღუდვა, შეზღუდვა კი არა, პურის ამ ფრიად საჭირო სანოვაგის მიზანშეწონილად მოხმარების მოწესრიგება. მხოლოდ მოწესრიგება, რათა „კუდების“ სიგრძითა და სიგანით ქუჩებში დამკვიდრებული უწესრიგობაა ისევ გამდნარ-განიავებულიყო, როგორც შარშანდელი თოვლი.

„მეგობრული სარჟი“

ამხ. შამშე ლეჟავამ დასწერა შვიდ მოქმედებიანი დრამა 1905 წლის რევოლიუციონური მოძრაობიდან.

შ ა მ შ ე: ნუ გიკვირს წერად რომ დავჯექ,
ვღვარე ამდენი ოფლიო,
მსურს უახლესი პიესით
გავაჩირაღდნო მსოფლიო!..

ს ა ნ დ რ ო: შამშეო, დიდო მგოსანო,
მსურს გკადრო სიტყვა წყლიანი,
დაგიწერია დრამები,
უგრძესი, შვიდკარიანი,
პეტრე, ბენიტო! სად გარბით,
ვერ უძლებთ სიტყვის ჭექასა?
დრამით, შვიდკარად წყობილით,
სცენა დაიწყებს დრეკასა...
აჰა, ისმინეთ: შამშოვი
ყღერს უტურფესი შუქებით...
ამიერიდან თეატრებს
გადაწვით არ ვემუქრები!

წრევანდელი ზამთრის შემხედვარეს, კი, ალბათ, ყველას მოეხსენება, თუ რამდენად სასიამოვნოა ქუჩებში შარშანდელი კი არა თუნდაც ისევ წრევანდელი მომაბეზრებელი—თოვლის დადნობა, რის შემდეგაც, ალარც შიმშილი აწუხებს ხალხს, ალარც პურისთვის წრიალი, ყველა, ასე ვსთქვათ, დამშვიდდა და ჩადგა თავის კალაპოტში, ხოლო, რაც უმთავრესია, მოისპო, ქუჩებში „კუდები“ და ბაზარზეც პური გამოჩნდა, ასე გასინჯეთ, თეთრი პურიც კი...

მარტო ჩემს მოუსვენრობას არ აქვს მხოლოთ საშველი: იყო „კუდები“ და „ვაი, ამ კუდებს—თქვა,—გავიძახოდი; ალარ არის „კუდები“ და—„ვაი, ამ უკუდობას-თქვა“—გავიძახი.

ერთი სიტყვით, როგორც თქვენც მშვენივრად ხედავთ, რეჯულსა და ურეჯულობაზედაც უმტკიცესი ყოფილა ჩეულება, ხოლო, დღევანდელი მომენტის მიხედვით,—ყოველ კუდზედ უგრძესიც იმავე დროს. ონისიმე.

დაგვიანებული მილოცვები

„ტარტაროზის“ ორასი ნომერის თავს ვუგზავნი ჩემი გულწრფელი მაუზერიდან გამოსროლილ ათ ტყვიას, და ვუსურვებ ათივე მოხვედროდეს იმას, ვინც ჩემს შესახებ ამას წინად „ტარტაროზში“ ჩამწერა და დამჯღანა.

ზანზარეთის **ტარიელ მკლავაძე.**

ულოცავ „ტარტაროზს“ გზას საიქიოსაკენ და გამოვთქვამ სურვილს, რომ ორასი ნომრის შემდეგ იგი აღარ იქნეს. იმედი მაქვს ჩემი ბიუროკრატობის გამომჟღავნებისათვის არც მას დაადგება ხეირი. **რია.**

ბიუროკრატი **მიხეილ ივანიჩ პანძუ-**

ტარტაროზჯაან! შენი ორასი ნომრიან თავზე მეხი კი დაგაყარე, რომა ჩემი ნომრები შენ აშალე და რეტი დამასხი, ჩემი წითელი ცხვირის შიგ დახატვისათვის: სლედუშჩი ნომერუ პაჟელაიმ, შტობი ვსე ტვოი ნომრები მოი დუხან პაპალი, კაკ ბუმაგა, ია იზ ნიხ მეშოკ დელილ ი ნა მეშკუ ხურმა სიპილ ი ტაკ პრადავალ ზა მოი აბიდა კუშანია.

ბივში კუპეც **ოსეფ ყაზარაშვილი.**

ტარტაროზის ორასი ნომრის გამოსვლის გამო ვიხდი პანაშვიდს, იქნებ ბოლო მოეღოს მაგის გამოსვლას და გადავრჩე გაპარსვას. მამა უფალ ღმერთს ვთხოვ ჩემი შიგ ჩაგდებისათვის ხელში ჩამეგდოს მე იგი საიქიოს და ჩემი ლუკმა გამხდარიყოს.

გაუბედურებული მღვდელი **იონა კუპატაძე.**

ტარტაროზის ორასი ნომერის გამოსვლის გამო, მართალია, გული გამისკდა, მაგრამ მაინც ვისურვებდი დავენიშნეთ მე მოკლე ხანში მისი რედაქციაში რედაქტორად ან მდივნათ და ყოველივე მისი საქმე ტარდებოდეს ჩემს ხელში.

ვოლოკიტა **ი. ჭიანურიძე.**

ტარტაროზის ორასი ნომრის თავზე გამოსული მენახოს დიდი მეჭეჭი, რის გამო ტარტაროზი ჩემთან მოსულიყვეს მის გასაჭრელად, რომ ერთი ჩემებურა თვაწრიპინო ჩემი ჟანგიანი ნეშჩერით ჩემი გაწერისათვის.

ექიმბაში **გიგო დარუხანიძე.**

ვულოცავ ტარტაროზს ამ ჩემს მუშტუქუნას, — ირტყას ცხვირში თუ კიდევ დამხატოს შემდეგში.

კულაკი **ამბაკო ბეროვანი.**

ორასი ნომრის თავზე ტარტაროზს დავახალე მამა-პაპური ტამბაჩა. მამა ნუ წამიწყდება, არ დავიშურებ ჩემი დაჟანგული ხანჯლით დავხეჩო, რომ მაგისი რქების არ მეშინოდეს.

კნიაზ **კოწია თავჩალიანი.**

„ტარტაროზის“ ორასი ნომრის გამოსვლის გამო დორბლებს ვყრი და სიბრაზისაგან ვეღარაფერს ვამბობ.

ჩემბერლენი.

„ტარტაროზის“ საიუბილეო ნომრის გამოსვლის გამო, ვაარსებ სასტიკ ცენზურას პოლონეთში და ვუსურვებ მალე ჩავარდნოდეს ხელში ჩემს აგენტებს. მე ვიცი მაშინ მაგათი პატივისცემა.

პან პილსუდსკი.

„ტარტაროზის“ ორასი ნომრის გამოსვლის გამო, ვიპარსავ წვერსა და თმას (იქნებ დაავიწყდეს ჩემი სახე და ვეღარ დამხატოს).

მისტერ ტროცკი.

ტარტაროზის ორასი ნომრის გამოსვლის გამო ვსვამთ ოთხ კვარტ ღვინოს და იმედს გამოვსთქვამთ, კიდევ იქნება ჩვენს შესახებ წერილი და კარიკატურა მოთავსებული შიგ, ვინაიდან, რომ მაგას არა, ისე არავინ გაგვიცნობდა ჩვენ.

მრავალ ჟამიერ ჩვენს პატივცემულ ტარტაროზს.

ხონი

მე გაგაცნობ ამ ჩვენ ლუკას,
რომ გააძროო ყველას ტყავი.
სახლი მაინც ვერ ააგო,
ვერას გახდა საცოდავი.
ხალხის ნაშრომს ნუ ითვისებ,
გეუბნები, ლუკა ჩემო,
სირცხვილია— უკანონოთ
სხვისი რამე დაიჩემო.
შენს განაჩენს მთელი ხონი,
გულის ძგერით უთვალთვალებს,
სხვამ რომ თავი დაგანებოს,
სად წაუხვალ მოხუც ქალებს?..
გულით მწადის მიუმღერო
ხონის „ბელადს“ ფერშალ ვანოს.
(მე არ ვიცი მისი ჭუჭყი
ცხენის წყალმაც რომ გაბანოს).
უყვარს მუდმივ ქეიფობა
და ქალებთან ძალადობა;
არშიყობა თუმც კი იცის,
ხელს არ უწყობს ტანადობა,
ცოტა ფრთხილად მიუდექი,
თავის საქმეს, ჩემო ვანო,—
თორემ ასეთ საქციელით
ხონიდგან არ გაექანო.

—:—

შემდეგ მინდა მივაკითხო
ხონში სადგურ ქალაქისა.
ტარტაროზო, ველარ გეტყვი
მე შექებას, ძმაო, მისას.
ერთხელ მჭონდა რაღაც საქმე,
ქუთაისში გავექანე
ავტომობილს განაგებდა,
ვიღაც ჟორა მემანქანე.
ავტომობილს თუმცა ქონდა,
დიდი სიგრძე, დიდი განი
მაგრამ მაინც მომენატრა,
რიონის „ბირჟის“ ლილიჟანი.

—:—

საადამყოფოს მივაკითხოთ,
გამგეს მოვკრათ ცალი თვალი.
ის ავადმყოფს რას უშველის,
დღე და ღამე არის მთვრალი.
დაზღვეული თუ მიხვედი,—
მუდმივ ისმის მისგან ძვირი;
თვით ლოთია—სხვას დასცინის
ეს კი არის გასაკვირვი.
ეხ! ვაგნერო, როგორც გატყობ,
ვერ გასწორდი კიდევ მგონი;
ნუშებს კარგად მოექეცი,
ეს ხონია, ძმაო, ხონი.

—:—

ძაფსაღები ქარხანასა
დავაცქერდეთ ორივ თვალით.
მთელი ხონი მხიარულობს,
მისი კარგი მომავლით.
მხოლოდ ავსწერ ქარხნის ქალებს
(ზოგიერთს და არ ყველას)—
სასეირნოთ თუ სურთ წასვლა,
ექიმისგან ელის შველას.
ეტყვის: ვითომც ავათ არის,
ან აციებს ,ან აცხელებს,
და ექიმიც დასტურს აძლევს
თუ ერთს მარტო დაიხელებს
ასეთების მეოხებით,
ავანძღება მთელი მასა.
ავანაგდენი დღეების ფულს
რად ზარალობს შრომის ჯასა?..

ნეკტარი.

სიფრთხილეს თავი არა სტკივა

კარდანახი

„დადგეს რადიო მთელი თავისი მოწყობილობით, მაგრამ მოიშალა და მის შეთეკებაზე არავინ ფიქრობს“. **(ვაზი)**



— **როგორ ჩხავანა კატასავით ჭყავის!**
— **ახლოს არ გაეკარო... ვინ იცის, ეგებ შიგ მართლაც კატა ზის!**



სტუდენტთა სასადილოში

„უსამართლო განაჩენი“

— მოხუცი იყო, არაფერი ესმოდა და მანქანა უცაბედათ დავაჯახე! — აცხადებს სასამართლოში ბერიძე.

სასამართლომ შოფერი 6 თვით გაგზავნა გამსახლში.

„მუშა“ № 1882.

ოცნებაში იყო შოფერი.

პროსპექტზე ისე მიაქროლებდა ავტოს, თითქოს სოფლის შარა-გზა არისო.

— რა მოსაბეზრებელია ეს ზამთარი! კაცს არ შეგიძლია თავისი ამქრებით ქალაქს გარედ გაინავარდო ავტოთი და სადმე მწვანეზე იქეიფო!.. ნეტავ მალე გავიდეს ეს ოხერი ზამთარი.... მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია დარჩენილი—დღეს 4 თებერვალია...

— შეაჩერე მანქანა.:: კაცი არ გასრისო!— მიაძახეს გამვლელებმა, მაგრამ შოფერი ოცნების სამეფოში საღეგრძელოებს ამბობდა და სავსე ჭიქებს სცლიდა

მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როცა მანქანა „რაღაცას“ დაეჯახა.

ეს „რაღაცა“—მოხუცი იყო.

სიცივეს კიდევ უფრო მოეკაკვა იგი წელში.

მუშკოოპის პასაჟში ბამბაზიის საყიდლად ყოფილიყო.

მოხუცი გარდაიცვალა.

ბერიძე დააპატიმრეს და...

„შოფერ ბერიძეს მიესაჯოს ექვსი თვით გამასწორებელ სახლში ჯდომა“.—გამოაცხადა სასამართლოს თავმჯდომარემ.

— რას ამბობს, ბატონო მოსამართლევ! ეს თქვენი განაჩენი უსამართლო განაჩენია!—პროტესტი განაცხადა ბრალდებულმა.

— მართლაც უსამართლო განაჩენია!—პროტესტი განაცხადა მიცვალებულ მოხუცის შვილისშვილმაც.

— ა, ბატონო, თვითონ მომჩივანი ამბობს, რომ განაჩენი უსამართლოა. ეს დიდი სასჯელია.

— რაო?—გაკვირდა მიცვალებულის შვილისშვილი.—მე იმიტომ ვამბობ „უსამართლო განაჩენია“-თქო, რომ სასჯელი ძალზე მცირეა. ბრალდებული უნდა დაისაჯოს, როგორც კაცის მკვლელი!

— რაო?! შენ ვიღაცა ხარ ხომ არ გინდა გზადაგზა დაედევნო მას?—შემოუტია შოფერმა.

— მე მიცვალებულის შვილისშვილი ვარ... ის ჩემი ბაბუა იყო!—და ახალგაზრდას ცრემლები მოადგა თვალებზე.—ჩემო ბაბუა, ჩემო მშვენიერო და თეთრწვერა ბაბუა!

— მისი გზა იარე!... შე ბრიყვო შენა, მადლობელი უნდა იყო, რომ ბაბუაშენის სული ავტოთი გაემგზავრა საიქიოში, სადაც ჩქარა მივიდოდა და გზაში მგზავრობით არ გაილახებოდა... ბატონო მოსამართლენო, მე არა ვარ ღირსი ასეთი დიდი სასჯელისა. მიცვალებული ღრმა მოხუცი იყო: ყურს აკლდა, არ ესმოდა; ის მაინც მალე მოკვდებოდა, 6 თვეს ის მაინც ვერ იცოცხლებდა, ამიტომ გთხოვთ სასჯელი შემიმსუბუქოთ.

— ბაბუაჩემი კიდევ ბევრხანს იცოცხლებდა. ხუთ-ექვს წელიწადს ის სიკვდილს არ აპირებდა; ეს მე კარგად ვიცი. ამიტომ ამდენივე წლით ციხეში ჯდომით მაინც უნდა დაისაჯოს ბრალდებული.

— ბატონო, ხუთ-ექვს წელიწადს კი არა, ხუთ-ექვს დღესა და კვირასაც ვერ იცოცხლებდა. ფეხებზე ძლივს ღა იდგა. როგორც კი დავაჯახე მანქანა, მაშინვე წაიქცა. განა მას რომ ძალ-ღონე ჰქონებოდა, ასე იოლად მოკვდებოდა!? მე გთხოვთ იმაზე მეტი მაინც არ მომისაჯოთ, რამდენიც მას ჰქონდა დარჩენილი ცხოვრების ვადა, რომელიც ჩემი გამოანგარიშებით, თვენახევარს თუ ორ თვეს უდრის!—იცავდა თავისთავს შოფერი.

— სასამართლომ ამ განაჩენის გამოტანის დროს მხედველობაში მიიღო, რომ დაზარალებული ანუ იგივე აწ განსვენებული ექვს თვეზე მეტს მაინც ვერ იცოცხლებდა. ამიტომ ეს ექვსი თვე, რომლითაც ბრალდებულმა ბერიძემ დააჩქარა მოხუცის სიკვდილი, იყოს ნორმად ბრალდებულის სასჯელისა; ასე რომ—მომჩივან-მოპასუხე გაქვითებული არიან და საქმე წარმოებით მოისპოს.

განაჩენი საბოლოოა და შეიძლება მხოლოდ „ტარტაროზში“ გადატანა.

— უსამართლო განაჩენია!—იძახოდა შოფერი ბერიძე.

—უსამართლო განაჩენია!—თითქოს ამოძახილს აძლევდა მიცვალებულის შვილისშვილი.

თქვენ როგორ გგონიათ, მკითხველნო, მართლაც „უსამართო-განაჩენია“?

ისელი.

რაჭიდან-- თბილისამდე

ტყიბულისაკენ ვქენი პირი მე
დილა რომ იყო ზამთრის საზარი.
აჭა, გამოველ და მოსჩანს მკრთალად
ამბროლაურის დიდი ბაზარი.
სდგას ხუნი ისე, რომ მას ვერა სჯობს:
ვერც ჩემბერლენის „ავიო-გაზი“.
ჰყრია ჩონჩხები, ლეში და მძორი —
სანიტარკომის ეს ფიანდაზი.
ისმის ხითხითი, სიცილი ტკბილი,
ო, სამკითხველო და ქალი ვერა.
არის თამაში, აურ-ზაური
და მიჯნურების ნელი სიმღერა.
მივდივარ ჩემთვის, თან სიჩუმეა.
აი, სოფელიც სახელი „იწა“.
გზები ისეა გაფუჭებული,
რომ გეგონებათ ინგრევა დედამიწა.
ახალ სოფელიც იქვეა გვერდში.
ვნახე სოფელი მთლად გამოცვლილი,
მაგრამ ყოველი გლეხის ნატვრაა:
— ვიყო ბელიძის მე ბიძაშვილი...

ალი.

კაია თუ არ გედევირიე!..

კაია, თუ არ გედევირიე ამ კამუნისტეების ხელში! დედა, რავა მიუშვენ ლაგამი ამ ქალებს, რავა ყორისფელში გაგვითანასწორეს კაცებს! ვაი, ჩემო დღეო, რა ხალხი დაბერტყენ ჩვენი თემიდან, რავალ ბიჭებს ამოუსვენ ნიახური, რავალი პარტიულები დადვენ ქონიან ნიჩაბზე და გოდოუძახენ სანაგვეზე! რალმე შევიშალე ამისთანა ხალხი, რომ დაფერთხენ, მარა ვიფიქრე, ალბათ უფრო უკეთესებს დააყენებენ თქვა, მარა მისთანა გაიგონა ჩემა ყურებმა, მე ამბავი გევიგონე! ბიჭო, აგი ჩვენი ივლიანე ბზიკაძის ვაჟი, რავალი უენო, რავალი ცხვარივით კაცი მოხსნეს თემალმასკომის თავმჯდომარეობიდან და მის მაგიერ აგრაფინა კაპსაძის ქალი ქეეირჩიენ! ღმერთო ნუ გადამრევ და, თურმე, ყორისფელს მოესწრება კაცი!!.. აგრაფინა და ამხელა თემის თავმჯდომარე?!!.. არ ვიცი, არ ვიცი! ღმერთმა მშვიდობა მისცეს და თუ იმან თელ თემს გოუძლო და დააყმაყოფილა, ამფერუმ მის ქალობას! ვაი! ვაი, დედაჩემო, რავა ეიწეენ „პადიომში“ ამ ქალებმა, რავა დაგვიხიენ „ფლაგი“ ამ მამაკაცებს! ვაი, ჩემო დღეო!.. უწინ ქალი რომ დეიბადებოდა, უზარო ტირილი შეიქმნებოდა სახლში, რომე რატომ ბიჭი არ გვეყოლაო და ახლა ტირილი კი არა სულ კრიმანჭულით უნდა მიეგებოს კაცი ქალის დაბადებას! ხუმრობაა, ბიძიაა!! თემის თავმჯდომარეობა, მართლა ტყემლის ტყლაპი კი არაა, ჩემო დღეო, რავა გადაბრუნდა ყირისფელი! აგრაფინას დაბადება ყურის მეზობელს არ გოუგონია რიგიანად და ჩემს დაბადებაზე თელი ქვეყანა შეარყია, თურმე, საცოდავმა მამაჩემმა, რომე ბიჭი მეყოლაო! სამ ძროხას წაგდებია თავი, ჩემს ნათლაზე და სამასმა კაცმა ერთ კვირეს იქეიფა! თურმე რას იხარჯებოდა უბედური მამაჩემი! აგრაფინას მამას გახვრეტილი გროში არ დოუხარჯავს მის დაბადებაზე, მარა რაი მერე! მართალია მე კაცი ვარ, ვითამ, მარა ვინ მაგდებს ბრინჯათ! მე რაცხა „პროსტოი“ მოქალაქე ვარ, მარა აგრაფინა კი ჩემი თავმჯდომარე გახადეს! ამას ქვია ჩარლხის უკულმა ტრიალი, მარა რას იზამ კაცი!

სად გინდა, რომელი უჩრეჟდენია გინდა, რომე ქალი არ მსახურებდეს შიდ! ყორისფელს ვიფიქრებდი, ყორისფელს დევიჯერებდი, მარა თუ ქალი მილიციონერი გახდებოდა, იგი კი არ მეგონა სწორედ! დედა, რამ სიგრძეზე ჰკიდიათ ის მაუზერკა ლივერები და ატანტარებენ! მე, მგონია, ისე, ტყვილა ფორმიზა ჰკიდიათ, თვარა რავა დევიჯერო ახლა, რომე გაჭირვების დროს იგენმა გააგდონ ლივერი! რა ვიცი, ჩემი პელანგია, ტყვიას გააგდებს კი არა, კატამ რომ დააცხინკვოს, ლოგინად ვარდება შიშით და კიდო კაი, რომე დასტრახული მყავს, თვარა თელათ გევიყიდებოდი მის წამლებში! მერე რავალი ბრეწოულივით გოგოები არიან მილიციაში! მიდღემჩი არ მქონია გუნებაში გლახა ამბავი, მარა ღმერთო შემცოდე და ახლა კი უნდა ჩევიდინო დანაშაული, რომე იმ გოგოებმა დამიჭირონ, რომ მივასობ ფეხს ერთადგილზე და გავჯინიანდები, სამ საათს რომ მექიჩაონ, და მისონ აგი თინთიკივით ხელები! სროლით კი ვიცი, რომე არ მესვრან და ამ ქიჩვაზე არც მე ვიტყვი ვარს. არა მგონია, მარა ქეც რომ მესროლონ, რაიმერე! ისტე აკანკალდებიან, რომ წაავლებენ ხელს იმ გოჭის ფეხივით დაკიდებულ ლივერს, გონია შვიდ არშინზე შემაცილონ ტყვია! ვაი, კომუნისტებო, თქვენ დაგექცათ კერია, რავა ყორისფელს უხთაკს და უცნაურს თქვენ მეიგონებთ!!.. ქალი და მილიციონერი?!!... კაია ერთი, თუ ღმერთი გწამთ, ნუ გადამრიეთ კაცი!!

გოგია.

სამძიმრის წერილი

ძმაო სტრიფონ!

მონაწილე ვართ შენი მწუხარების. რა მოუვიდა საწყალ ელისაბედს, ასე უცბად რო გოუფშიკებია ფეხები? შე თავსხლაფდასხმულო, ძალით ხომ არ მოკალი? ვინ ცის—სტრიხინა დაალევიე, ან იქნებ მარილი ჩააყარე ყურში? არა, რაცხას კი ეშმაკებდი უეჭველად, რავაც კი გევიგეთ ეე და მარიამამ (მიწიოს უფალმა ადრე და მალე მას) ელისაბედის დაკარგვა, თელი საათი ცრემლი არ შეგვშრობია თვალებზე. შენ კი ვინ იცის გუნებაში ქე გიხარია —მეორე ცოლს შე ვირთავო!

დედასა! ნეტა მეც ვიყო შენისთანა ილბლიანი.

სხვა, სტრიფონ, ვიცი შენი ახუნტრუცებული ხასიათის ამბავი, რომ ცოლს მალე მეიყვან, შარა, იცი რას გეტყვი? თუ დამიჯერებ, ბიძია, ქალს გაგირიგეფ იმისთანას, რომე უკეთესი ნიპრიწ ჩვენ სოფელში.

ვიზე ვამბოფ იცი? ჩვენი ლუკა ხუცესის ნაცოლარი როა—ელიპიტე, იმაზე გეუბნები. მართალია, ახლა ცოტა გამხდარად გამეიყურება, მარა იმიტომ კი არა, რომ ჯიში ქონდეს ასეთი, შენ იგი უნდა გენახა ბალშენიკების შემოსვლამდი, ისე იყო გასუქებული, რავაც გლეხკომის ტახი. ბალშენიკების ხელში კი, საკურთხი კი არა, ლობიო ენატრებოდა მის ქმარს, თვარა საკურთხს ვინ მიაშავებდა. ხო, და ასეთი გლახა დღეში რო ჩავარდა საწყალი ლუკაია, გოუსკდა გული და და ფშიკა ფეხები, კი საქმეა და ნუ კრავ ხელს, თვარა მერე ბევრს ინანეფ მამა ნუ წამიწყდება, მარა გვიან იქნება.

საწყალი ელისაბედი რომ მომაგონდება, ცრემლებს ველარ ვიკავეფ. რა უყოთ, ყველა სიკვდილის შვილები ვართ.

აბა, სტრიფონ, შენ იცი თუ ხელს არ გოუშვეფ ელპიტის და მაჭმევ ქორწილს.

იმედია არ დამენდურები, გასვენებაზე რომ ვერ მოვდივარ. ვენახი მაქვს დასაწამლი და თუ დროზე არ უწამლე, გამინადგურებს ფილოქსერა. ახლა მშვიდობით, ჩემო სტრიფონ!

გწერს ელისაბედის დაკარგვით დაჭუხრებული სიკოა და მარიამი ფლავაძეები. **კირილე საფიჩხიელი.**

ბავშვების გულშემეტკივარი

კოოპერატივის გასტრონომიულ განყოფილებაში იდგა შვიდი-რვა წლის ბავში, რომელსაც ხელში ფული ეჭირა და გაუბედავად აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს.

ნოქარი, რომელიც სასწორზე კალბასს სწონავდა, მიუბრუნდა ბავშს და შეეკითხა:

— შენ რა გინდა, ბავშო?—და თანაც რიგში მდგომ ხალხს მიმართა:—უკაცრავად, მოქალაქენო, ჩვენთან პატარა ბავშვებისათვის რიგს გარეშეა საქონლის გაცემა. ესენი ხომ ცხოვრების ყვავილები არიან! გარდა ამისა მათ უსუსურ და ნორჩ მუხლებს არ შეუძლიათ დადგენ რიგში.

— მიეცით. გაისტუმრეთ. ვის რა გვექნება სათქმელი!—დაეთანხმა ყველა.

— მაშ, აბა, მითხარი რა დაგაბარეს?—მიმართა ნოქარმა ბავშს.

— ნახევარი კილო „ჩაინი კალბასი“, ყველი, ორი ბაკლაჟანი და ერთი კილო ჯონჯოლი!—გაზეპირებულივით უპასუხა ბავშმა.

— ბავშის პატივისცემა უწინდელ დროში სულ არ იყო.—ამბობდა ნოქარი და ამზადებდა ბავშის დაკვეთას. —ეხლა კი საბჭოთა კოოპერატივებში თუ გინდ აკვნის ბავშებიც რომ გამოგზავნონ, მაინც რიგს გარეშე მივცემთ საქონელს.

— ყოჩაღ, ასე უნდა. მაშ!—გამოეხმაურა ვიღაც რიგიდან.

— თქვენ წარმოიდგინეთ, მე საშინლად მიყვარს ბავშები, მათი სიყვარულით „ბავშთა მეგობრების საზოგადოებაშიც“ კი ჩავეწერე.

ნოქარმა ყველაფერი მისცა ბავშს და გაისტუმრა.

ბავში ნაყიდი საქონელი წავიდა. მაგრამ კარებთან შეჩერდა და ისევ ნოქართან მიბრუნდა.

— მართლა, მამილო, დედამ შემოგითვალა—მუშაობის შემდეგ არსად დაითვრეო, პირდაპირ სახლში წამოდიო! **მეფისტო.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გაიგონე?
— რა?
— კომუნისტები მიდიანო!..
— დიახ, მიდიან... მე-16 პარტკონფერენციაზე.

ნანახი და უურმოკრული

—ჭიჭიკო, ჩემი ცოდვა აღარ გაგახარებს იცოდე. ოდნავ რომ გიყვარდე, არც ამ ყოფაში ვიქნები!

— ვარიკო, რა მოგივიდა გენაცვალე? ავათ ხომ არა ხარ?—მზრუნველობით თვალებში ჩახედა და მიუალერსა ქმარმა. ცოლმა, თითქოს არ იამა ალერსიო, ხელი ჰკრა და მოიშორა ქმარი.

— რაშია საქმე არ მეტყვი?

— რაში იქნება- დღეს სადილის კეთებისას სამზარეულოში ჩავიწვი. გუშინდელი გაკეთებული მანიკური სულ წამიხდა. სახეზე შემწვარ კიბოსავით ვარ გაწითლებული. ასე სად უნდა წავიდე? თავი როგორ გამოვყო გარედ. რამდენჯერ გთხოვე გოგოს დაქირავება. შენ კი მუდამ „პრინციპს“ და „ბიუროკრატობა გამოვა“-ო გაიძახი. თუ მზარეულად მირთავდი, გეთქვა, სიახლოვესაც არ გაგიკარებდი.—უსაყვედურებდა ვარიკო ჭიჭიკოს.

— ჩვენ სხვას უნდა ვუჩვენოთ სოციალისტობის და შრომის მოყვარეობის მაგალითი. მომბეზრდა შენი ნატაციები, თუ გინდა ჩემი ცოლობა, გოგო მოიყვანე, თუ არა და ეხლანდელ დროში რომელი შეაბერდება ქმარს. ჩემი გზა გახსნილია, არ იფიქრო მონაზონათ შევდგე მთაწმიდაში.

— აი ქალი, ნამდვილი ტრადიციული ქალი, რომელსაც თანამედროვეობის არაფერი სცხია. რწმენა, იდეა—შე მანაცვალეო! სირცხვილია ვარიკო, თორემ მე რა მენაღვლება. დავფიქრდები პასუხს არ დაგიგვიანებ. ვნახოთ.

ერთი კვირის შემდეგ.

— ნატაშა სად წადი, გოგო? სამზარეულოდან სიდაშწვრის სუნი სცემს; ქათამი დაიწვა ნამდვილად; მიხედე ეხლავე.—ვარიკო სავარძელში ჩათოლულიყო და რომახს კითხულობდა. რომანის გმირ ქალს ადარებდა თავის თავს. დროგამოშვებით სარკეში იხედბოდა და თან უკმაყოფილოთ ბუზღუნებდა: „დღეს რაღაცა პუდრი არ მადგება სახეზე“.

კვანტი.

შარადა

ჩოხატაურისათვის

ჩემი შარადა ძველ დროში
ბევრს თქვენგან გაუგონია.
რა ვუყოთ, თუმცა დავბერდი,
ეხლაც კი დავსწერ მგონია!..
საგნისთვის შორს არ წაგიყვანთ,
გვინდა ერთგვარი ბალახი,
ჩვენში რომ ხურვენ მით ქოხებს,
ყველას გვაქვს იგი ნანახი.
(ამას უტვინოც მიხვდება,
თავშიც რომ ჰქონდეს ტალახი).
ოთხი ასოსგან შემდგარსა,
„ლ„ ამოვფხიკოთ დანითა
და შევუდგებით შარადის
დაწყებას, მხოლოდ სამითა.
არც სხვა საგნების საძებრად,
არ აგვტკივდება ფეხები;
ჭურჭელი არის უბრალო
მიწიდან განაკეთები;
ხან წყალისათვის მივაფრენთ,
ხან ღვინოსათვის ჭურზედა,
(გიორგი ფერშალს უხდება
ყანწის მაგიერ ტუჩზედა!).
საგნის გაჭკვეთა შუაზედ
არც დიდათ გასაჭირია;
შარადის წასაკერებლად
ორი პირველი გვჭირია.
„რ“ მივუმატოთ... შემდეგ-კი
გვჭირია ნაცვალსახელი,
(თავისი თავი ავიღოთ,
რატომაც ვახლოთ სხვას ხელი).
ხომ ჰპოვეთ! ასო მეორე
გვინდა, სხვა არ ღირს არადა,
რომ მივუმატებთ დანარჩენს,
დასრულდა კიდეც შარადა!..
გამოდის ვაჟის სახელი,
გლეხთა გამგეა რომელი.
წელს გაიბერა... შარშან კი
უბრალო, სარის მხობელი!..
დათვრება... რიდიც არა აქვს
მაკრინეს, ანუ ფატისა;
ოტეთრად იცის გამოკვრა
გოცირიძული კვანტისა!..
მან თვისი თანამშრომელი,
გაგზავნა ტფილის ქალაქში...
ცოლს კი ეტაკა... საწყალი
გადააყუდა ტალახში..
კივილზე ხალხი შეგროვდა,
ძლივს გამოიხსნეს ქალია —
„ბიჭებმა“ ასე იმსჯელეს:
—რა ვქნათ, რომ იყო თვრალია?!.
გაჯავრდნენ ქმრები: პეტია,
პავლე, კობა და კოწია
და, როგორც მითხრეს, დელიყანდს
უკვე აუღეს წონია!!..

წ-ველ-.

ლანჩხუთი

სურვილი მაქვს ვინახულო
აქაური ფოსტა.
შიგ თუ შედით, არ იფიქროთ
ერთი წუთით მოცდა.
ისე ჰყვირის ბალავაძე,
ვით ნაკბენი ბუზის.
ტარტაროზო, გეხვეწებით
იქ დათიკო ნუ ზის.
საქმისათვის მისულ გლეხებს
არც კი აგდებს ჩირათ.
მას მოქცევა ამნაირი
დაუჯინოთ ძვირად.
ამოუკრათ პანღური და
გამოვაგდოთ გარეთ.
რამდენიც სურს იყვიროს და
ილრიალოს მწარეთ.

აფთიაქიც ვინახულოთ

ჩვენი მხნე და ბურჯი.
წამლის ყიდვა მინდა, მაგრამ
ყიდვას თუ გადაურჩი.
სალამს ვეტყვი „პროვიზორებს“
„ზრასტი“ გენაცვალეთ.
დღეს, რომ რეცი მოგიტანეთ
თუ დამხვდება ხვალე?—
პასუხს მაინც ვერ მიიღებ,
რომ ათიო ღამე.

ტარტაროზო, გთხოვთ მაგათაც
მოუხერხო რამე.
შემოვიაროთ სასოფლო
სამეურნეო ბანკშია.
კაკოს, ირაკლის, კორდათის
ვკითხოთ თუ საქმე რაშია?
რა არის ღარიბ გლეხობას
სესხათ არ აძლევთ ფულსაო,
და ამავე დროს ვარლამს კი
უხარებთ სულს და გულსაო.

საშურა ურუშაძესაც

უთაქე, როგორც წესია,—
და მოამკიე ყველა ის,
რაცა აქვს დანათესია.

მონადირეთა კავშირის
კლუბის გამგეთ ჰყავს კოლია,—
კაცი ასეთი უზრდელი
ლანჩხუთში ჯერ არ გვყოლია.
სიტყვა თუ უთხარი
რაგინდ იყოს სწორი,—
ისე ისვრის „ტლინკებს“
ვით დიაკვანის ჯორი.
ნუ დაგვმადლი, ძამია.
უთაქე მაგრათ კოლასა
(უწვრთნელი ვირის ყოლა სჯობს
ასეთი გამგის ყოლასა).

ლია-ლუა.

სიზმრის ახსნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხიდისთავისათვის (გურია)

ბოჭილი კაცი ნახო — ხიდზე ფრთხილად უნდა გაიარო, თორემ დაიმტვრევი.

დაფლეთილი ტანსაცმელი გეცვას ქუჩაში უჯიხოთ ნუ გაივლი, თორემ ძაღლები ტანზე შემოგახევენ.

„პომპოლიკი“.

ალგულალისათვის (ტფ. მაზრა)

ივლიანე მარკოზია ნახო —კარგია, რადგან ცხადში ვერ ნახავ.

ზაბლოსაკი ნახო — კარგია, იქეიფებ.

ბეჟუა ბეჟუაშვილი ნახო — დაითვრები. იმ კვირაში ხეირს ვერ იზამს.

პარმენ ნოწია ნახო— ჩხუბისათვის ემზადე, ხიფათს ვერ ასცდები.

ფეხსაცმელების არტელი ნახო — კარგია ახალ ფეხსაცმელის დაკვეთას მისცემ (რადგან მათი შეკერილი ფეხსაცმელი ერთ კვირას არ სძლებს).

დათიკო არაბიძე ნახო — არ ვარგა. ვინმე ყალბ ხელწერილს დაგატყუებ.

საშა ცაგურია ნახო — კარგია, ვინმე მოგატყუებს უეჭველად.

შევარდენი.

რადიო დეპეშები

ლოგოჯოს ექსპორტი

ცხუნკური (ქუთ მაზრა). სემის წყალში თევზაობის დროს კიტოვანმა დილიდან შუადღემდე იმდენი ლორჯო დაიჭირა, რომ აპირებდა თევზის საზღვარგარეთ გატანას. მაგრამ ამ დროს აღმასკომიდან შეტყობინეს, რომ გლეხები ელოდებიდენ. სწორედ იმ დროს, როცა კიტოვნმა აღმასკომში წასვლა დააპირა და ანკესს იღებდა წყლიდან, — თვითონ წამოეცო ტარტაროზკორის ანკესზე.

თავშესაფარის მიცემა

იჭიდანვე: გლეხკომმა ანგარიში გაუწია გაკოტრებულ ვაჭრის მდგომარეობას და ჩააბარა თავისი (გლეხკომის) სასადილო.

მოლი.

ლოთობა კლებულობს

ჭიათურა. ამ უკანასკნელ დროს ადგილობრივ სასადილოებში დღიურად ითვრებოდა მხოლოდ 50 კაცი. ლოთების ასეთ შემცირებას ხსნიან იმ გარემოებით, რომ ლოთობის წინააღმდეგ კამპანიებმა კამპანიის ხასიათი მიიღო.

კლებულობს სიკვდილიანობა

იჭიდანვე: გუშინ საავადმყოფოში გარდაიცვალა მხოლოდ ხუთი ავადმყოფი. სიკვდილიანობის ასეთი დაქვეითება მიეწერება ექიმთა მზრუნველობას ავადმყოფებზე.

საკვირველი ამბავი

კიდევ იჭიდანვე: კვირას წარმოდგენა დაიწყო 10 საათზე. წარმოდგენის ასე ადრე დაწყებამ საერთო აღშფოთება და გაკვირვება გამოიწვია დამსწრეებში.

შაკო.

ხელსაყრელი ხელშეკრულება

ქუთაისი. მუშკოოპის გამგეობამ ორი თვის დიპლომატიური მოლაპარაკების შემდეგ ფურნე № 11 გამგის ვალიკო ყუფრაძესთან 2.500 მანეთის გაფლანგვის შესახებ, მიაღწია შემდეგ შეთანხმებას: ცინკის სახურავი 500 მანეთის, რომელიც ყუფარაძემ ნისიათ წაიღო და რომელითაც საკუთარი სახლი გადახურა სოფლად, შერჩეს ხახვივით.

2.500 მანეთი, რომელიც შემოეჭამა ყუფარაძეს ფურნეში, ჩაითვალოს არა გაფლანგვათ, არამედ უეცრად ყელში გადამცდარათ და რომ გაჭირვებაში მყოფ, ოდესმე პატივისმცემელის და გამგეობის ახლო მეზობელ ყუფარაძეს შეუმსუბუქდეს ვალის გადახდა, დატუსაღებული იქნას მისი საკუთარი ცხენი და მოყვანილი მუშკოოპის ტრანსპორტში. ცხენის ფასი 100 მანეთის ნაცვლად, დაწესდეს 500 მანეთი.

როგორც პურმარილიანი ბიჭი, ყუფარაძეს არა ერთხელ დაუპატიჟებია გამგეობის წევრები ღვინოზე, ხოლო ღვინოს დასაყოლებელი პურიც სჭირდება, — ჩაითვალოს ნისიათ გაცემულად 500 მანეთის პური. დანარჩენი 1.500 მანეთი ჩაიწეროს მუშკოოპის დავთრებში ვალად და შემოტანილი იქნას ყუფარაძის სურვილის მიხედვით. ფურნე № 11 ყუფარაძის მიერ ჩადენილ „ვმირობის“ საპატივცემოდ სრულიად დაიხუროს. ბუხგალტერიას მიეცეს სასტიკი გაფრთხილება ფურნეების ცნობები დაკეცონ უჯრაში, რომ არ ჩაუვარდეს ხელში რომელიმე წყეულ მუშკოოს.

ხლოპუშკა.

ლანჩხუთი. დიდი ხნის სურვილის შემდეგ ლანჩხუთის თემის „რადიოს მოყვარულთა საზოგადოების“ მიერ შეძენილ იქმნა „რადოს“ ხმის მიმღები აპარატი. ხმები დადის, თითქოს მიღებული აპარატი, არამც თუ მარტო მიმღებია, არამედ ხმის გადამცემიც არისო, რადგან უკვე ერთი წელი სრულდება, რაც ეს „რადიო“ მოაწყვეს და მისგან მიღებული ხმა ჯერ არავის არ სმენია, ხოლო მოწყობის ამბავი კი ქვეყანას სწვდაო.

შუხუთი. ბოროტი ენები ამბობენ, რომ ბატონმა „კოწოამ“ თავის მოახლე ქალთან ცოტა „წაიმასქნაო“, აგრეთვე ბოროტი ენები იმასაც კი სისინებენ ადგილობრივ კოოპერატივის ორხელვე გაქურდვა მისი მოხერხებულიაო.

იჭიდანვე. ხმებია, თითქოს ფილიპე ორაგველიძემ კოოპერატივის სიმინდს ცოტა ქაფი გაადინა, ფილიპე კი ამბობს, რომ სიმინდის დანაკლისი სასწორის ბრალიაო. სიმართლის გამოარკვევად არჩეულია კომისია, რომელსაც ევალება გამოარკვიოს სასწორი იყო „ყალბი“ თუ ფილიპეს უყვარს „ყლაპი“.

მარტისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხიანი

ეჰ, გაუწყრეს ღმერთი მუშკორს,
ვინც გაზეთში მე გამწერა
და ტირილად შემიცვალა
დროს ტარება და სიმღერა.
ვიყავ ბანკის თავმჯდომარედ,
გავუმართე ვაჭრებს ხელი.

მუშკორებმა რომ გამიგეს,
გამიტეხეს მათ სახელი.
თესლს ვაძლევდი მხოლოდ კულაკს:
გამიგეს და მკრეს პანლური.
ეხლაც მტკივა ის ადგილი
პანლურისგან განახური.

ძმა-ბიჭებში დაჩაგრული
ვარ ფუტურიძე მდივანი.
ჩუმად ვაჭრობა გამიგეს,
აღმასკომმა მიყო განი;
ძველმა ჩარჩმა და ვაჭარმა
თვისებურად უგანაო;

ესეც გაჭყვეს უკანაო.
დეისაძე—ადამაძეს
მუშკორმა მიყო ეს საქმე,
აღმა და დაღმა დავდივარ;
ხელები უკან დავიწყვე
არც თავს და არც სხვას ვარგივარ.

„ᲰᲘᲣᲖᲔᲜ“.

„პროტექცია“

— კაცო, აქაც ნათლიმამობასა და პროტექციას აქვს ადგილი?

— რაზე ამბობ მაგას?!

— რაზედ და, აი, ჩვენი კლუბის სასროლი წრის მდივანმა წრეში თავისი ცოლი, ცოლის ძმა და ბიძაშვილები ჩაწერა.

მ-ფ-ო.

თავი გაგია!

ვიცი თავი რომ გაგია,
უნდა ბოლოც მოინახო.
დღეს რომ შრომის უნარი გაქვს,
გმართებს ფულიც შეინახო.

დღეს რა მოაქვს და ღაშეს რა
უნდა გაითვალისწინო,
ტირილის ჟამს შეგიძლია—
ფულის ძალით გაიცინო.

ხომ არსებობს სახელმწიფო
შემნახველი სალაროანი!
კვარტიანებს მიაფურთხე,
არ გაგიცდეს მისთვის დროანი.

კარტი, ნარდი, მასთან ლოტო.
ფულით გულის გასართობი—
იგივ შენი ზარალია
დამერწმუნე, თუ მენდობი.

ლამაზ ქალებს დაეთხოვე
ჰუდრ-ჰამადით შელესილებს,—
თორემ როცა გასჭირდება
ცხვირში ირტყავ მუშტს და სილებს.

მიაშურე თუ ჭკუა გაქვს
სალაროსა შემნახველსა;
ამითი შენ ფულს შეიკრებ, —
სახელმწიფოს უწყობ ხელსა.

თითო მანეთს, ათ-ათ შაურთ
შენთვის არ აქვს მნიშვნელობა;
შენც გარგებს და—ქვეყანასაც
მიეცემა წინმსვლელობა.

თუ არა და ასწი ჭიქას
ძირამდისინ გადაყლურჭე;
შენი შრომით მონაგარი
უსარგებლოდ გააფუჭე.

რადგან არ გსურს შენი ქვეყნის
იყო ერთგულ-მეგობარი, —
არ მიჰბაძო შენს ამხანაგს,
ირიცხები ცოცხლად მკვდარი.

მომისმინე, ამხანაგო,
რასაც გირჩევ, რასაც ვყვირი
ვინც ორმაგად ურგებია
მას სჯობია იაბო ვირი.

ან. ᲒᲐᲜᲯᲘᲡᲙᲐᲠᲔᲚᲘ.

სალარო და ნინო

ნინომ ფული გადირჩინა
სანოვაგის საყიდელზე.
ერთი თავი შეჭამანდით
გადიარა დღეს სადილზე.
სთქვა: სახლშიო ვერ ვაგროვებ,
მეხარჯება მუდამ ფული.
სალაროსკენ გაეშურა,
დაიმშვიდა ქალმა გული.
რა კარგია ეს სალარო,
გვიფროვდება ჩვენ იქ ფული.
პროცენტებიც გვემატება
მხიარულობს ჩვენი გული.
ეს მანეთად რომ გახდება,
ვაჩვენებ მე ქმარს და შვილებს.
ტანზე ყველა შევიკერავთ
ტანისამოსს ოროო წყვილებს.
რა კარგია ეს სალარო
სახელმწიფოც იგებს ამით.
ბრიყვი არის — ვინც ჯიბეში
ფულს აჩერებს ერთი წამით.

დესიკო.

„ახალი მილღევა“

ზუგდიდის მაზრის ერთ-ერთ სოფელში გამოცდის მიზნით ტრაქტორები ერთმანეთს დაეჯახნენ.

ზუგდიდში მოხდა ამბავი
(სინამდვილეა საზარი) —
ორი ტრაქტორი შეიბნენ
მიწას გაჰქონდა ზანზარი.